

შპს „სტაილი“

ფინანსური ანგარიშგება და
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

ოქტომბერი 2023
თბილისი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	5
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	7
ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები	8
1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები	17
4. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია	18
5. ძირითადი საშუალებები	20
6. სასაქონლო მატერიალური მარაგები	21
7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	21
8. ფული და ფულის ეკვივალენტები	21
9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	21
10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები	22
11. სასესხო ვალდებულებები	22
12. შემოსავალი	23
13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	24
14. მიწოდების ხარჯები	24
15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	24
16. საპროცენტო ხარჯები	24
17. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	25
18. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები	25
19. ფინანსური რისკის მართვა	25
20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	28
21. საქმიანობის უწყვეტობა	29
22. წინა პერიოდის ხარვეზის შესწორება	29
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	30

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სტაილის“ დამფუძნებლებს და ხელმძღვანელობას:

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სტაილის“ (შემდეგში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს, IESBA) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“, რომელიც მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან შესაბამისობისა და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული იმავე საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებებთან თანხვედნილობის თაობაზე.

ჩვენი ვალდებულებაა არსებითი უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ამასთან, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში. აღნიშნულთან დაკავშირებით ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება. ჩვენ არ გავცემთ არანაირი სახის მარწმუნებელ დასკვნას მმართველობის ანგარიშის შესახებ.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშებაზე

მმართველობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ და ჩვენ მიერ ჩატარებული სამუშაოს შედეგად, ვაცხადებთ, რომ:

- მმართველობით ანგარიშებაში ასახული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისთვის, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშება შესაბამისაა ფინანსურ ანგარიშებას; და
- მმართველობითი ანგარიშება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად და მოიცავს კანონით დადგენილ ყველა ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ის) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოიწვეულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების

განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად. სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაცია მივაწოდეთ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გოჩა ჭოლოკავა.

გოჩა ჭოლოკავა

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენის“ სახელით

თბილისი, საქართველო

5 ოქტომბერი 2023 წ.

განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვუვალდება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ჩვენ ასევე მივაწოდეთ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვანად. სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაცია მივაწოდეთ აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ. სხვა საკითხების განხილვა მენეჯმენტთან არ მომხდარა.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია გოჩა ჭოლოკავა.

გოჩა ჭოლოკავა

სს „ფი-ქეი-ეფ კაიზენის“ სახელით

თბილისი, საქართველო

5 ოქტომბერი 2023 წ.

გოჩა ჭოლოკავა



შპს „სტალი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენ.	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	883,274	1,254,900
არამატერიალური აქტივები		18,285	20,569
აქტივების გამოყენების უფლება	10	5,579,018	5,908,439
ინვესტიციები სხვა საწარმოში		139,738	139,738
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	8,898
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,620,315	7,332,544
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	1,228,831	1,485,812
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	501,904	802,804
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	3,507,200	4,056,056
სულ მიმდინარე აქტივები		5,237,935	6,344,672
სულ მთლიანი აქტივები		11,858,250	13,677,216
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	981,835	1,528,792
საიჯარო ვალდებულებები	10	605,864	463,718
საგადასახადო ვალდებულებები		129,492	108,043
მიღებული სესხები	11	1,969,807	2,848,608
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,686,998	4,949,161
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	1,709,792	2,106,466
საიჯარო ვალდებულებები	10	5,577,203	6,202,596
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		664,628	660,641
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,951,623	8,969,703
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		573,206	573,206
გადაფასების რეზერვი		415,325	679,694
დაგროვილი ზარალი		(768,902)	(1,494,548)
სულ კაპიტალი		219,629	(241,648)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,858,250	13,677,216

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი

5 ოქტომბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენ.	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	883,274	1,254,900
არამატერიალური აქტივები		18,285	20,569
აქტივების გამოყენების უფლება	10	5,579,018	5,908,439
ინვესტიციები სხვა საწარმოში		139,738	139,738
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	8,898
სულ გრძელვადიანი აქტივები		6,620,315	7,332,544
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	8	1,228,831	1,485,812
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	7	501,904	802,804
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	3,507,200	4,056,056
სულ მიმდინარე აქტივები		5,237,935	6,344,672
სულ მთლიანი აქტივები		11,858,250	13,677,216
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	9	981,835	1,528,792
საიჯარო ვალდებულებები	10	605,864	463,718
საგადასახადო ვალდებულებები		129,492	108,043
მიღებული სესხები	11	1,969,807	2,848,608
სულ მიმდინარე ვალდებულებები		3,686,998	4,949,161
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	11	1,709,792	2,106,466
საიჯარო ვალდებულებები	10	5,577,203	6,202,596
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები		664,628	660,641
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		7,951,623	8,969,703
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		573,206	573,206
გადაფასების რეზერვი		415,325	679,694
დაგროვილი ზარალი		(768,902)	(1,494,548)
სულ კაპიტალი		219,629	(241,648)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		11,858,250	13,677,216

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი

5 ოქტომბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენ.	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	13,527,455	12,515,280
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(7,355,301)	(7,099,609)
საერთო შემოსავალი		6,172,154	5,415,671
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(4,638,517)	(3,696,663)
მიწოდების ხარჯები	14	(1,699,474)	(1,484,873)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		(165,837)	234,135
საპროცენტო ხარჯები	16	(996,207)	(1,108,356)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	17	987,620	(522,036)
არასაოპერაციო შემოსავლები	18	658,440	809,420
არასაოპერაციო ხარჯები		(22,739)	(10,138)
მოგება/ზარალი დაბეგვრამდე		461,277	(596,975)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		461,277	(596,975)
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალების გადაფასების რეზერვი		-	415,325
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარჯი		461,277	(181,650)

ხელმომწერი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

5 ოქტომბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	მენ.	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12	13,527,455	12,515,280
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	13	(7,355,301)	(7,099,609)
საერთო შემოსავალი		6,172,154	5,415,671
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	15	(4,638,517)	(3,696,663)
მიწოდების ხარჯები	14	(1,699,474)	(1,484,873)
წმინდა საოპერაციო შემოსავალი		(165,837)	234,135
საპროცენტო ხარჯები	16	(996,207)	(1,108,356)
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	17	987,620	(522,036)
არასაოპერაციო შემოსავლები	18	658,440	809,420
არასაოპერაციო ხარჯები		(22,739)	(10,138)
მოგება/ზარალი დაბეგრამდე		461,277	(596,975)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		461,277	(596,975)
სხვა სრული შემოსავალი			
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		-	415,325
მთლიანი სრული შემოსავალი/ხარჯი		461,277	(181,650)

ხელმოწერილი პირები:

დირექტორი:

ფინანსური მენეჯერი:

5 ოქტომბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული (ზარალი) / მოგება	რეზერვები და სხვა დაფინანსება	სულ
2020 წლის 31 დეკემბრისთვის	573,206	(897,573)	264,369	(59,998)
პერიოდის შედეგი		(596,975)		(596,975)
ძირითადი საშუალების შეფასება	-	-	415,325	415,325
2021 წლის 31 დეკემბრისთვის	573,206	(1,494,548)	679,694	(241,648)
პერიოდის შედეგი	-	461,277	-	461,277
კორექტირება	-	264,369	(264,369)	-
2022 წლის 31 დეკემბრისთვის	573,206	(768,902)	415,325	219,629

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2022 წელი	2021 წელი
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	461,277	(596,974)
კორექტირება:		
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	1,243,573	839,795
საქვო ვალების რეზერვი	15,925	290,694
წმინდა (ზარალი) /სარგებელი გაცვლითი კურსის სხვაობიდან	(987,620)	522,036
საპროცენტო ხარჯი	996,207	1,108,356
	1,729,362	2,163,907
ფული საოპერაციო საქმიანობიდან		
ცვლილებები სასაქონლო-მატერიალური ფასეულობაში	548,856	647,561
ცვლილებები სავაჭრო დებიტორულ დავალიანებაში	276,434	(73,106)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	(511,552)	(3,224)
ცვლილებები სხვა გრძელვადიან ვალდებულებებში	3,987	407,112
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	30,347	(18,507)
	2,077,434	3,123,743
ფული საოპერაციო საქმიანობიდან	2,077,434	3,123,743
გადახდილი პროცენტი	(790,721)	(1,058,597)
წმინდა ფული საოპერაციო საქმიანობიდან	1,286,713	2,065,146
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(51,220)	(42,854)
წმინდა ფული საინვესტიციო საქმიანობიდან	(51,220)	(42,854)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხებიდან მიღებული ფული	2,047,005	2,655,060
სესხებზე გადახდილი ფული	(2,522,684)	(3,380,714)
გადახდილი საიჯარო ვალდებულება	(765,581.00)	(799,184)
წმინდა ფული ფინანსური საქმიანობიდან	(1,241,260)	(1,524,838)
უცხოური ვალუტის ეფექტი ფულზე	(251,214)	(24,837)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა	(256,981)	472,617
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	1,485,812	1,013,195
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	1,228,831	1,485,812

შენიშვნები გვერდებზე 8-30 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 1-3.

ფინანსური ანგარიშგების თანდართული განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა და ზოგადი ინფორმაცია

შპს „სტაილი“ (შემდგომში კომპანია) დაფუძნდა 1995 წლის 09 ოქტომბერს და მდებარეობს საქართველოში.

კომპანია შეიქმნა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს სამეწარმეო საქმიანობის რეგულაციების შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზ. 173/1.

კომპანიას 2023 წლის სექტემბრამდე ჰყავდა ორი დამფუძნებელი:

გიორგი კეკელიძე, 01010000949	66.7%
თეიმურაზ ინაშვილი, 01003004682	33.3%

2023 წლის სექტემბრიდან კომპანიის 100% წილის მფლობელი გახდა გიორგი კეკელიძე (01010000949), რომელიც შესაბამისად არის უმაღლესი მაკონტროლებელი პირი.

კომპანიის დირექტორად წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით დანიშნულია: გიორგი კეკელიძე, 01010000949.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა: კომპანიის ძირითად ბიზნეს საქმიანობას წარმოადგენს პარფიუმერული პროდუქციის იმპორტი და რეალიზაცია საცალო და საბითუმო ქსელში.

წარმოდგენილი ანგარიშგების ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

ვალუტა	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
1 USD/GEL	2.7020	3.0976
1 EUR/GEL	2.8844	3.5040

კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. საქართველოს იურიდიული საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა ვითარდება და ექვემდებარება ხშირ ცვლილებებსა და არაერთგვაროვან ინტერპრეტაციებს. საოპერაციო გარემოს მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის საქმიანობასა და ფინანსურ მდგომარეობაზე. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის ყველა საჭირო ზომებს მიიღებს, რათა მხარი დაუჭიროს კომპანიის საქმიანობის მდგრადობასა და განვითარებას.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ისტორიული ღირებულების პრინციპზე დაყრდნობით, გარდა ძირითადი საშუალებების შენობა-ნაგებობების და მიწის ნაკვეთების მუხლებისა, რომლებიც შეფასდა სამართლიანი ღირებულებით და ზოგიერთი ფინანსური ინსტრუმენტისა, რომლებიც ასახულია მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე დისკონტირებული ღირებულებით. თითოეული კატეგორიის აქტივისა და ვალდებულების შეფასებასთან დაკავშირებული დეტალები იხილეთ შესაბამის განმარტებით შენიშვნებში.

შესაბამისობის პრინციპი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით და ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS; ფასს) 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძალაში მყოფი საერთაშორისო სააღრიცხვო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული სტანდარტების და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგებები შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან.

რადგან 2022 წლის 31 დეკემბრისთვის ძალაში მყოფი სტანდარტები და ინტერპრეტაციები შეიძლება შეიცვალოს სსბასს-ის ან საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების ინტერპრეტაციის კომიტეტის (IFRIC) მიერ, მენეჯმენტი არ გამოიყენებს აღბათობას, რომ შეიძლება საჭირო გახდეს ფინანსური ანგარიშგებების კორექტირება ამ ცვლილებების გამო.

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, დადებითი ფულადი სახსრების მოძრაობა, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სამართლიანი ღირებულების შეფასება

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით, მან შეფასება გააკეთა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. 2022 წლისთვის სამართლიანი ღირებულება არ შეცვლილა მნიშვნელოვნად, რომ მიმდინარე წლის ბოლოსთვისაც მოეხდინა გადაფასება. გარდა ამისა, ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების შეფასება იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედეგად:

- აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე, ან
- მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე.

კომპანიას შეუძლია მთავარ ან ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე წვდომის მოპოვება შეფასების თარიღისთვის.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით. არაფინანსური აქტივის სამართლიანი ღირებულების შეფასება უნდა ითვალისწინებდეს ბაზრის მონაწილის შესაძლებლობას მიიღოს ეკონომიკური სარგებელი ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოყენებით, ან ბაზრის სხვა მონაწილისათვის მიყიდვით, რომელიც ამ აქტივის საუკეთესოდ და ეფექტიანად გამოიყენებს.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომლებისთვისაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება ისე, რომ მაქსიმალურად იყენებდეს საბაზრო ამოსავალ მონაცემებს და მინიმალურად - არასაბაზრო ამოსავალ მონაცემებს, რომლებიც, საერთო ჯამში, მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის:

დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;

დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;

დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

სამართლიანი ღირებულების იერარქიის მე-3 დონეში შესული აქტივების სამართლიანი ღირებულება შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებას, თუ ხელმისაწვდომი გახდება შესაბამისი განსაზღვრადი გარიგებები.

ფინანსური ინსტრუმენტები - ძირითადი შეფასების პირობები

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარება, შეფასება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივი და ფინანსური ვალდებულება აღიარდება, მას შემდეგ, რაც კომპანია ხდება ფინანსური ინსტრუმენტების შესახებ სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილე. ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების სახელშეკრულებო უფლება ამოიწურება, ან, როდესაც ფინანსური აქტივი და მასთან დაკავშირებული რისკის მნიშვნელოვანი წილი გადადის სხვა მხარეზე. ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია და თავდაპირველი შეფასება

იმ სავაჭრო მოთხოვნების გარდა, რომლებიც არ შეიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს და შეფასებულია გარიგების ფასად ფასს 15-ის მიხედვით, ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით დაკორექტირებული გარიგების დანახარჯებით (სადაც შესაბამისია).

აღიარების შემდგომი შეფასების მიზნებისათვის ფინანსური აქტივები გარდა ჰეჯირების ინსტრუმენტებისა, დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად:

- ამორტიზებული ხარჯი
- რეალური ღირებულება მოგება- ზარალში ასახვით (FVTPL)
- რეალური ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI).

კლასიფიკაცია განსაზღვრულია ორივე კრიტერიუმით:

- კომპანიის ბიზნეს მოდელი გამოყენებული ფინანსური აქტივის მართვისთვის
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლები.

ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ყველა შემოსავალი და ხარჯი, რომელიც აღიარებულია მოგებაში ან ზარალში წარმოდგენილია ფინანსური ხარჯით, ფინანსური შემოსავლით ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტით, გარდა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებისა, რომლებიც წარმოდგენილია სხვა ხარჯების სახით. კომპანიის ფინანსური აქტივები დაყოფილია კატეგორიების მიხედვით.

ფინანსური აქტივების შემდგომი შეფასება

ფინანსური აქტივების ამორტიზირებული ღირებულებით შეფასება

ფინანსური აქტივები შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით თუ აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს (და არ არის აღნიშნული როგორც FVTPL):

- კომპანია ფლობს ფინანსურ აქტივებს ისეთი ბიზნეს მოდელის პირობებში, რომლის მიზანია ფინანსური აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღების მიზნით;
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებს ადგენს ისეთი ფულადი ნაკადების მიღებისთვის, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირი თანხისა და ძირი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდისას.

ფინანსური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დისკონტირება უგულებელყოფილია, სადაც დისკონტირებას არამატერიალური ეფექტი აქვს. კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები, სავაჭრო და სხვა მოთხოვნები ფინანსური ინსტრუმენტების ამ კატეგორიას მიეკუთვნება.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ის მოთხოვნები იყენებს უფრო მეტად საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისას – „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელი“ (ECL). ფასს 9-ის მოთხოვნების ფარგლებში შემავალი ინსტრუმენტები მოიცავს სესხებს და სხვა ვალის ტიპის ფინანსურ აქტივებს, რომლებიც შეფასებულია ამორტიზირებული ღირებულებით და რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI), სავაჭრო მოთხოვნებს, სახელშეკრულებო აქტივებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 15-ის მიხედვით და სესხის გაცემის ვალდებულებას და ზოგიერთი ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს (ემიტენტისთვის), რომლებიც არ არიან შეფასებული რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

საკრედიტო ზარალის აღიარება აღარ არის დამოკიდებული კომპანიის საკრედიტო ზარალის პირველად აღმოჩენის შემთხვევაზე. ამის მაგივრად კომპანია განიხილავს უფრო ფართო არეალის ინფორმაციას, როდესაც აფასებს საკრედიტო რისკს და მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, ეს ინფორმაცია მოიცავს, წარსულ შემთხვევებს, მიმდინარე პირობებს, მართებულ და მისაღებ პროგნოზს, რომელსაც გავლენა აქვს ფინანსური აქტივის მომავალი ფულადი ნაკადების მოსალოდნელ შეგროვებადობაზე.

ამ საპროგნოზო მიდგომის დანერგვისას, გამოიყენა ხდება:

- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საკრედიტო ხარისხის მიხედვით საგრძნობლად არ გაუარესებულა საწყისი აღიარების შემდგომ ან აქვს დაბალი საკრედიტო რისკი (ფაზა1), და
- ფინანსურ აქტივებს შორის, რომლებიც საგრძნობლად გაუარესდნენ კრედიტის ხარისხის მიხედვით საწყისი აღიარების შემდგომ და მათი საკრედიტო რისკი არ არის დაბალი (ფაზა 2).
- ფაზა 3 მოიცავს ფინანსურ აქტივებს, რომლებსაც აქვს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება საანგარიშგებო თარიღისთვის.

„12 თვიანი საკრედიტო ზარალი“ აღიარებულია პირველი კატეგორიით, ხოლო „ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“ მეორე კატეგორიით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება განსაზღვრულია ალბათობებით შეწონილი საკრედიტო ზარალის შეფასებით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი არსებობის მანძილზე

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები და სახელმეკრულებო აქტივები

კომპანია იყენებს გამარტივებული მიდგომას სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ანგარიშგების დროს ასევე სახელმეკრულებო აქტივების შემთხვევაშიც და აღრიცხავს ზარალის რეზერვის თანხას, როგორც ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალად. ეს არის მოსალოდნელი დეფიციტი სახელმეკრულებო ფულად ნაკადებში, რომელიც ითვალისწინებს პოტენციურ ვალდებულებების შეუსრულებლობას ფინანსური აქტივის არსებობისას ნებისმიერ დროს. ანგარიშის დროს, კომპანია იყენებს თავის ისტორიულ გამოცდილებას, გარე ფაქტორებს და საპროგნოზო ინფორმაციას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანგარიშის დროს.

კომპანია აფასებს სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურებას კოლექტიურ საფუძველზე რადგანაც ისინი ფლობენ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებს და დაჯგუფებულები არიან გადაცილებული ვადის მიხედვით.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს და ფინანსურ საიჯარო ვალდებულებებს. კომპანიის ფინანსური ვალდებულებების შეჯამება კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სასესხო ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, სესხთან დაკავშირებული გაცემის ხარჯების გამოკლებით. სხვაობა სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სესხი აღებულია დამფუძნებლებისგან. ასეთ შემთხვევაში, ეს სხვაობა აისახება კაპიტალში, როგორც დამატებითი კაპიტალი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, სესხები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ხოლო სხვაობა თვითღირებულებასა და გამოსყიდვის ღირებულებას შორის აისახება მოგებაში ან ზარალში, სესხების პერიოდის განმავლობაში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. პროცენტები და სხვა ხარჯები, რომლებიც გაწეულია სესხებზე, მიეკუთვნება ფინანსურ ხარჯებს, გარდა იმ სესხის ხარჯებისა, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება შესყიდვებს, მშენებლობას, ან განსაკუთრებული აქტივის შექმნას. ასეთი ხარჯები პირდაპირ აქტივის თვითღირებულებაზე კაპიტალიზირდება.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო მოთხოვნები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში - ამორტიზებული ღირებულებით.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულებები შეფასებულია მომავალი საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. შემდგომში, საიჯარო ვალდებულებები ასახულია ამორტიზირებული ღირებულებით.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები, რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან, აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი მოვლენები.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება შეფასების მეთოდით. გარკვეული პერიოდულობით კომპანია დამოუკიდებელი შემფასებლის დახმარებით აფასებს ძირითადი საშუალებების რეალურ ღირებულებას. ბოლო შეფასება მოხდა 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. კომპანიის პოლიტიკის მიხედვით დაახლოებით ხუთი წლის შუალედით ხდება გადაფასება. გადაფასებებს შორის ძირითადი საშუალებები აღირიცხება ბოლოს შეფასებულ ღირებულებას დაკლებული ცვთა. ახალი ძირითადი საშუალების ბალანსზე აყვანა ხდება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ან მშენებლობის ფასს. მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება. ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშნები. თუ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი, ხდება ძირითადი საშუალებების ჩამოფასება უმაღლესი თანხით შემდეგ ორს შორის: გამოყენების ღირებულება და სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის ხარჯები. საბალანსო ღირებულების შემცირება აისახება მოგება-ზარალზე. წინა პერიოდში აღიარებული აქტივის გაუფასურების დანაკარგი გაიქვითება, თუკი მოხდება აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიან ღირებულებას გამოკლებული გაყიდვის დანახარჯების ღირებულების გამოსათვლელად საჭირო დამხმარებების ცვლილება.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

პერიოდის ცვთის ხარჯი

ცვთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდით. ყოველი წლის ბოლოს ხდება ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გადაფასება.

ცვთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული შესაბამისი სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ძირითადი საშუალება	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
ინვენტარი და აღჭურვილობა	5-30
სატრანსპორტო საშუალებები	10
კეთილმოწყობა	5
არამატერიალური აქტივები	10

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხდება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ (ა) ამ აქტივისგან მოსალოდნელია ეკონომიკური მოგების მიღება; და (ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით. ამორტიზაცია გამოანგარიშება წრფივი მეთოდის გამოყენებით და სასარგებლო მომსახურეობის ვადის გათვალისწინებით. კომპანიის არამატერიალური აქტივების ნაშთი შედგება პროგრამული სისტემის ღირებულებისგან, რომლის სასარგებლო მომსახურეობის ვადაა 10 წელი. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით არ ამორტიზირდება. ისინი ყოველწლიურად გადაიხდება გაუფასურებაზე და გაუფასურების ზარალი, რომელიც წარმოშობისთანავე დაუყოვნებლივ აისახება სრული შემოსავლების ანგარიშგებაში. არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი საექსპლუატაციო ვადით გადაიხდება ყოველწლიურად იმ მიზნით, რომ დადგინდეს კიდევ არის თუ არა საექსპლუატაციო ვადა განუსაზღვრელი. თუ დადგინდება, რომ საექსპლუატაციო ვადა განსაზღვრულია, მაშინ ასეთი არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება განსაზღვრული საექსპლუატაციო ვადით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში მოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. სათანადო ნაწილები და დამხმარე მოწყობილობები ასევე აღიარებულია როგორც მარაგები, სანამ ისინი არ დააკმაყოფილებს ძირითადი საშუალებების განმარტებას.

სასაქონლო მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია მარაგების შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იჯარით აღებული აქტივები

კომპანია, როგორც მოიჯარე

კომპანიას იჯარით აღებული აქვს ფართი მაღაზიების მოსაწყობად. კომპანია არ აფორმებს გაყიდვებისა და უკუიჯარის შეთანხმებებს. ყველა იჯარა შეთანხმებულია ინდივიდუალურად და შეიცავს მრავალფეროვან განსხვავებებს. ხელშეკრულების დადებისას, კომპანია განსაზღვრავს არის თუ არა ან მოიცავს თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება იჯარას. ხელშეკრულება არის ან შეიცავს იჯარას თუ ის გადასცემს კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას დროის გარკვეული პერიოდით გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად გადასცემს თუ არა ხელშეკრულება კონკრეტული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას, კომპანია ფასს 16-ის იჯარის განმარტებას იყენებს. წინამდებარე პოლიტიკა გამოიყენება ხელშეკრულებებზე, რომლებიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღის შემდგომ.

მოიჯარის მიერ იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის დაწყების თარიღისათვის კომპანია აღიარებს აქტივების გამოყენების უფლებასა და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. აქტივის გამოყენების უფლება განისაზღვრება თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას, კომპანიის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, იჯარის ბოლოს აქტივის დემონტაჟისა და

ლიკვიდაციისთვის საჭირო შეფასებით ხარჯებს და იჯარის დაწყების თარიღისთვის გადახდილ ავანსებს (ყველა მიღებული წამახალისებელი გადახდების გამოკლებით).

შემდგომ ხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის დაწყებიდან მისი დასრულების თარიღამდე, გარდა შემთხვევებისა როდესაც იჯარა გადასცემს შესაბამისი აქტივის საკუთრებას კომპანიას იჯარის ვადის ბოლოს, ან იმ შემთხვევაში თუ აქტივი გამოყენების უფლებით თვითღირებულება ასახავს კომპანიის მხრიდან შესყიდვის შესაძლებლობის გამოყენებას. ამ შემთხვევაში მოხდება „აქტივი გამოყენების უფლებით“ ცვეთა შესაბამისი აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მანძილზე, რომელიც ძირითადი საშუალებების მსგავს საფუძველზე განისაზღვრება. ამასთანავე, „აქტივი გამოყენების უფლებით“ პერიოდულად შემცირებულია გაუფასურების ზარალით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და კორექტირდება საიჯარო ვალდებულების კონკრეტული გადაფასებებით.

საიჯარო ვალდებულება თავდაპირველად ფასდება იმ საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც არ არის გადახდილი დაწყების თარიღისათვის, დისკონტირებული იჯარაში ჩართული საპროცენტო განაკვეთით ან, თუ აღნიშნული განაკვეთის განსაზღვრა დროულად ვერ ხერხდება, კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთით. ზოგადად, კომპანია დისკონტირების განაკვეთად მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს იყენებს.

კომპანია მის ზღვრულ სასესხო განაკვეთს განსაზღვრავს სხვადასხვა გარე დაფინანსების წყაროებიდან საპროცენტო განაკვეთების მოპოვების გზით და აკეთებს გარკვეულ კორექტირებებს იჯარის პირობების და იჯარით აღებული აქტივის სახეობის ასახვის მიზნით.

საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ გადახდებს), ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით და უფლებებით წარმოშობილ გადახდებს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე ამ უფლებას გამოიყენებს.

საიჯარო ვალდებულება შემდგომ გაზრდილია საპროცენტო ხარჯით საიჯარო ვალდებულებაზე და შემცირებულია განხორციელებული საიჯარო გადახდებით. საიჯარო ვალდებულება ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური პროცენტის მეთოდის გამოყენებით. ის გადაფასებულია თუ კომპანია შეცვლის მის შეფასებას იმისა გამოიყენებს თუ არა ის შესყიდვის, გახანგრძლივების ან შეწყვეტის შესაძლებლობას ან არსებობს თუ არა გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები.

საიჯარო ვალდებულების შეფასება ხდება ხელახლა, რათა აისახოს ხელახალი შეფასების შედეგი, ან იჯარის მოდიფიკაციები, ან გადასინჯული არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადახდები. საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შემდეგ, შესაბამისი კორექტირება აისახება აქტივის გამოყენების უფლებაზე ან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება ნულია.

კომპანიამ გამოიყენა კოვიდ-19-თან დაკავშირებული გამარტივებული მიდგომა. შესაბამისად, იჯარის გადახდის დათმობები არ განიხილა როგორც იჯარის მოდიფიკაცია და მიღებული შედავათები აღიარა უშუალოდ მოგებაში/ზარალში.

მოკლევადიანი იჯარები და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარები

კომპანიამ აირჩია არ აღიაროს „აქტივები გამოყენების უფლებით“ და საიჯარო ვალდებულებები დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებზე და მოკლევადიან იჯარებზე. კომპანია აღნიშნულ იჯარებთან

დაკავშირებულ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის ვადის მანძილზე.

გადასახადები

2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად, კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებული მოგების გადასახადს და მოგების განაწილებასთან დაკავშირებული საგადასახადო ხარჯი აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები, გარდა მოგების გადასახადისა, აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება, აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი.

ღივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები;
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის.

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განაზოციელოს.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას შეფასებებთან ერთად ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე და აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს შემდეგს:

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობისა და ცვლილებების ინტერპრეტაცია შეიძლება შესაბამისმა ორგანოებმა ეჭვქვეშ დააყენონ. შემოწმებისას შეიძლება მოხდეს დამატებითი გადასახდელების, ჯარიმების ან საურავების დარიცხვა. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით მის მიერ შესაბამისი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო სტატუსი უცვლელი დარჩება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს აქტივის მოსალოდნელ მოხმარებას, ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, სადაც ხდება აქტივის გამოყენება. ნებისმიერი ზემოაღნიშნული ფაქტორის ან შეფასების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს არამატერიალური აქტივების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს არამატერიალური აქტივების გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ტრანზაქციები

კომპანიის ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას კომპანია დებს გარიგებებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას სამართლიანი ღირებულებით. კომპანია განიხილავს არის თუ არა გამოყენებული საბაზრო ფასი ტრანზაქციის განხორციელებისას. გადაწყვეტილება გამოიყენება იმის დასადგენად, გარიგება შეფასებულია საბაზრო თუ არასაბაზრო ფასებით, როდესაც არ არის აქტიური ბაზარი ამგვარი

გარიგებისათვის. გადაწყვეტილების საფუძველი არის მსგავსი ტიპის გარიგებების ფასდადება არადაკავშირებულ მხარეებთან.

4. ახალი და შეცვლილი სტანდარტები და მათი ინტერპრეტაცია

2022 წლის 1 იანვრიდან, ძალაში შევიდა შემდგომი შესწორებები:

შემოსულობები დანიშნულებისამებრ მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ საფუძვლებზე - ბასს 16, ბასს 37 და ფასს 3-ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები - ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ბასს 41-ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის)

- ბასს 16-ის შესწორება საწარმოს უკრძალავს ძირითადი საშუალებების ხარჯიდან, საწარმოს მიერ აქტივის დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად მომზადებისას წარმოებული ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი ერთეულების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი დანიშნულებისამებრ გამოსაყენებლად. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასებისას რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვთას, ხელმძღვანელობის მიერ განზრახული საოპერაციო წარმადობის დონის მიღწევამდე.

- ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული იმ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, მეტად, ვიდრე იმ აქტივების, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.

- ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობითი ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3-ის გამოყენებისას მითითება უნდა გააკეთოს ბასს 37-სა ან ფასს 21-ზე, ნაცვლად 2018 წლის კონცეპტუალური საფუძვლების. ამ ახალ გამონაკლისამდე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

- ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. ღირებულებები და საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს მესამე მხარეებისთვის, ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის ღირებულება და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.

- ილუსტრაციული მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, და მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, ამოღებულ იქნა. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუმჯობესების აღმოფხვრაა.
- ფასს 1 იძლევა საშუალებით უფლებას, რომ შვილობილმა საწარმომ ფასს-ები მიიღოს უფრო გვიანი თარიღით, ვიდრე მშობელმა საწარმომ. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები.
- ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.
- მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით რეალური ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე ფულადი ნაკადების დისკონტირების სტანდარტში არსებულ მოთხოვნასთან შესაბამისობაში მოყვანას.

აღნიშნული სტანდარტების ცვლილებას არ ჰქონია გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტები, რომლებიც ახლახან გამოიცა ან შეიცვალა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული, არ იქნა მიღებული კომპანიის მიერ 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის. კომპანიას ჯერ არ შეუფასებია ამ ახალი ან შეცვლილი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების გავლენა. ამ ცვლილებებს, სავარაუდოდ, არ ექნება მნიშვნელოვანი გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

5. ძირითადი საშუალებები

ღირებულება	შენობა	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების მოწყობა	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	73,204	54,856	291,154	68,799	357,329	845,342
შესყიდვა	-	5,102	5,847	-	31,905	42,854
გაყიდვა	-	-	-	-	-	-
გადაფასება	138,661	16,815	200,676	59,173	-	415,325
2021 წლის 31 დეკემბერი	211,865	76,773	497,677	127,972	389,234	1,303,521
შესყიდვა	-	2,742	5,322	-	43,156	51,220
გაყიდვა	-	-	-	-	-	-
გადაფასება	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	211,865	79,515	502,999	127,972	432,390	1,354,741
აკუმულირებული ცვეთა						
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	-	-
ცვეთის დარიცხვა	-	-	-	-	(48,621)	(48,621)
ცვეთის ამოტრიალება	-	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-	-	-	(48,621)	(48,621)
ცვეთის დარიცხვა	(42,408)	(42,555)	(198,439)	(85,432)	(54,012)	(422,846)
ცვეთის ამოტრიალება	-	-	-	-	-	-
სხვა	-	-	-	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	(42,408)	(42,555)	(198,439)	(85,432)	(102,633)	(471,467)
საბალანსო ღირებულება						
2020 წლის 31 დეკემბერი	73,204	54,856	291,154	68,799	357,329	845,342
2021 წლის 31 დეკემბერი	211,865	76,773	497,677	127,972	340,613	1,254,900
2022 წლის 31 დეკემბერი	169,457	36,960	304,560	42,540	329,757	883,274

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ჩაატარა სრული ინვენტარიზაცია ძირითადი საშუალებების და ამასთანავე, შეაფასებინა გარე შემფასებელს თითოეული აქტივის ღირებულება. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მოძრავ ნივთებზე რეგისტრირებულია გირავნობა.

6. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
საქონელი	3,425,780	3,944,098
სარეკლამო საქონელი	-	46,976
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	81,420	64,982
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგები	3,507,200	4,056,056

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს პარფიუმერიის პროდუქტები.

7. მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	473,376	521,756
მოთხოვნები ბანკებთან	256,812	504,509
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	-	21,000
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	78,336	46,234
	808,524	1,093,499
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	(306,620)	(290,695)
სულ მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	501,904	802,804

მოთხოვნები შედგება კომპანიის მიერ წინასწარ გადახდილი თანხებისგან, გაყიდული პროდუქციის და სხვადასხვა წამახალისებელ და დაგროვებით პროგრამაში ჩართვის ფარგლებში რეალიზებული საქონლის მისაღები თანხებისგან. მენეჯმენტი მონიტორინგს უკეთებს თითოეულ დებიტორს გაუფასურების მხრივ, ამრიგად, 2022 წლისთვის საკრედიტო ზარალის რეზერვმა შეადგინა 306,620 ლარი.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
ეროვნულ ვალუტა თიბისი ბანკში	878,479	813,966
დოლარი თიბისი ბანკში	253,043	606,036
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	97,309	65,810
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	1,228,831	1,485,812

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც არასარიცხო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არის სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

9. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მოწოდებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	973,685	1,520,655
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	8,150	8,137
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	981,835	1,528,792

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების უდიდეს ნაწილს მომწოდებლების წინაშე წარმოქმნილი ვალდებულებები წარმოადგენს. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა.

10. აქტივის გამოყენების უფლება და საიჯარო ვალდებულებები**აქტივის გამოყენების უფლება***საწყისი ღირებულება*

31-დეკემბერი-2020	7,670,969
იჯარის დამატება	321,524
იჯარის გაუქმება	-
31-დეკემბერი-2021	7,992,493
იჯარის დამატება	
მოდულიზაციის ეფექტი	489,024
იჯარის გაუქმება	
31-დეკემბერი-2022	8,481,517

აკუმულირებული ცვლათა 1.1.2021

31-დეკემბერი-2020	(1,295,165)
ცვლის დარიცხვა	(788,889)
31-დეკემბერი-2021	(2,084,054)
ცვლის დარიცხვა	(818,445)
31-დეკემბერი-2022	(2,902,499)

საბალანსო ღირებულება

31-დეკემბერი-2020	6,375,804
31-დეკემბერი-2021	5,908,439
31-დეკემბერი-2022	5,579,018

	მიმდინარე	გრძელვადიანი	სულ
31-დეკემბერი-2020	542,756	6,766,195	7,308,951
იჯარის დამატება	19,383	302,141	321,524
პროცენტის დარიცხვა	642,159	-	642,159
ვალდებულების გადახდა	(799,184)	-	(799,184)
პროცენტის დაფარვა	(617,223)	-	(617,223)
სავალუტო კურსის ეფექტი	(16,779)	(173,134)	(189,913)
გადატანა	692,606	(692,606)	-
სხვა კორექტირება	-	-	-
31-დეკემბერი-2021	463,718	6,202,596	6,666,314
იჯარის დამატება	-	-	-
პროცენტის დარიცხვა	605,996	-	605,996
ვალდებულების გადახდა	(765,581)	-	(765,581)
პროცენტის დაფარვა	(410,295)	-	(410,295)
სავალუტო კურსის ეფექტი	(40,921)	(361,470)	(402,391)
გადატანა	752,947	(752,947)	-
სხვა კორექტირება	-	489,024	489,024
31-დეკემბერი-2022	605,864	5,577,203	6,183,067

კომპანიას იჯარით აქვს აღებული ძირითადად ის ობიექტები, სადაც განთავსებულია მაღაზიები.

11. სასესხო ვალდებულებები

მოკლევადიანი სესხები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მოკლევადიანი სესხები	1,879,083	2,659,171
სესხები პარტნიორებისაგან	90,724	177,492
გადასახდელი პროცენტები	-	11,945
სულ მოკლევადიანი სესხები	1,969,807	2,848,608

შპს „სტალი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

მოკლევადიანი სასესხო ვალდებულებები ორი ნაწილისგან შედგება, ერთი წარმოადგენს თიბისი ბანკისგან აღებულ მოკლევადიან სესხებს საბრუნავი კაპიტალის შესავსებად, ხოლო მეორე ამავე ბანკისგან მიღებული გრძელვადიანი საკრედიტო ხაზების მიმდინარე ნაწილია.

გრძელვადიანი სესხები	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
გრძელვადიანი სესხები	1,417,976	2,106,466
გრძელვადიანი სესხები პატრნიორებისაგან	291,816	-
სულ გრძელვადიანი სესხები	1,709,792	2,106,466

გრძელვადიან სესხებში გაერთიანებულია როგორც საბანკო საკრედიტო ხაზები ასევე პარტნიორი კომპანიებისაგან და კომპანიის დამფუძნებლისაგან მიღებული სესხები.

კომპანიამ 2022 წელს სრულად დაფარა თიბისი ბანკში არსებული ერთი სესხი, აქედან გამომდინარე აღნიშნულ ბანკში რჩება ხუთი სესხი, რომლის საპროცენტო განაკვეთი ლარში შეადგენს 14% (ორი სესხი) დოლარში 9.70%, ხოლო ევროში 8.87% და 6.95%

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი სასესხო ვალდებულებების რეკონსილაცია:

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2020 წლის 31 დეკემბერი	1,715,401	3,311,830	5,027,231
<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
სესხის აღება	1,048,050	1,607,010	2,655,060
სესხის დაფარვა	-	(3,380,714)	(3,380,714)
გადახდილი პროცენტი	-	(432,336)	(432,336)
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>		-	-
დარიცხული პროცენტი	-	466,198	466,198
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	393,087	226,548	619,635
რეკლასიფიკაცია	(1,050,072)	1,050,072	-
2021 წლის 31 დეკემბერი	2,106,466	2,848,608	4,955,074
<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
სესხის აღება	718,985	1,328,020	2,047,005
სესხის დაფარვა	(709,157)	(1,813,527)	(2,522,683)
გადახდილი პროცენტი	-	(380,426)	(380,426)
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>		-	-
დარიცხული პროცენტი	-	390,211	390,211
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	(406,503)	(403,079)	(809,582)
რეკლასიფიკაცია	-	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	1,709,792	1,969,807	3,679,599

12. შემოსავალი

შემოსავალი რეალიზაციიდან	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	13,548,945	12,518,064
გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(21,490)	(2,784)
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	13,527,455	12,515,280

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს საცალო და საბითუმო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლები წარმოადგენს. სხვა სახის საოპერაციო შემოსავლები კომპანიას პრაქტიკულად არ გააჩნია. შემოსავალი გენერირდება სუნამოს და კოსმეტიკური საშუალებების რეალიზაციით.

13. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2022 წელი	2021 წელი
გაცივებული შექენილი საქონელი	(7,354,805)	(7,090,658)
შეზენილი საქონლის უკან დაბრუნება ფასდათმობით	(496)	(305)
სასაქონლო-მატერიალური მარაგის კორექტირება	-	(8,646)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(7,355,301)	(7,099,609)

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში უდიდესი წილი საქონლის ღირებულებას უჭირავს.

14. მიწოდების ხარჯები

მიწოდების ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
რეკლამის ხარჯები	(809,648)	(632,081)
ცვთა და ამორტიზაცია	(775,339)	(750,174)
იჯარის ხარჯი	(110,367)	(94,950)
მიწოდების სხვა ხარჯები	(4,120)	(7,668)
სულ მიწოდების ხარჯები	(1,699,474)	(1,484,873)

მიწოდების ხარჯების უდიდეს ნაწილს რეკლამასა და სარეკლამო პროდუქციაზე გაწეული დანახარჯები შეადგენს. 2019 წლის 1 იანვრიდან კომპანიამ დაიწყო IFRS 16-ის გამოყენება, რის შედეგადაც სავაჭრო ფართების გამოყენების უფლების ამორტიზაციაც შევიდა მიწოდების ხარჯებში.

15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
შრომის ანაზღაურება	(2,606,746)	(2,348,234)
ცვთისა და ამორტიზაციის ხარჯი	(468,234)	(89,621)
ბანკის მომსახურების ხარჯები	(291,337)	(250,255)
კომუნალური ხარჯები	(190,566)	(119,791)
საგადასახადო ხარჯი	(73,217)	(34,749)
სამეურნეო ხარჯი	(58,343)	(26,703)
საწვავის და რეცხვის ხარჯი	(55,048)	(33,725)
საკომუნიკაციო ხარჯები	(29,851)	(29,557)
საკონსულტაციო ხარჯი	(25,285)	(21,536)
სოციალური დანარიცხები	(22,405)	(16,831)
დაზღვევის ხარჯები	(3,200)	(26,266)
სხვა საერთო ხარჯი	(814,285)	(699,395)
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,638,517)	(3,696,663)

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯების უდიდეს ნაწილს შრომის ანაზღაურება შეადგენს.

16. საპროცენტო ხარჯები

საპროცენტო ხარჯები	2022 წელი	2021 წელი
საპროცენტო ხარჯები სესხებზე	(390,211)	(466,197)
საპროცენტო ხარჯები იჯარებზე	(605,996)	(642,159)
სულ ფინანსური ხარჯები	(996,207)	(1,108,356)

17. კურსთაშორისი სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

კომპანიის ოპერაციების ნაწილი სრულდება უცხოურ ვალუტაში და შესაბამისად სავალუტო კურსის ცვლილება აისახება კომპანიის უწყისებში მოგების ან ზარალის სახით.

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	2022 წელი	2021 წელი
მოგება	1,857,160	1,445,437
ზარალი	(869,540)	(1,967,473)
სულ საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)	987,620	(522,036)

საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი სრულად წარმოადგენს რეალიზებულ თანხას და მას არ აქვს არარეალიზებული ნაწილი.

18. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები**სამართალწარმოება**

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით, შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებას. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს, შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო პოზიცია და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად.

19. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს, ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკების მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმის გათვლით, რომ შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოებით საოპერაციო და იურიდიული რისკების პრევენცია მოხდეს.

რისკების მართვა მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქმიანობაში და არის კომპანიის ოპერაციების მნიშვნელოვანი ელემენტი. საქმიანობისათვის დამახასიათებელი ძირითადი რისკები მოიცავს:

- საკრედიტო რისკს
- ლიკვიდობის რისკს
- საბაზრო რისკს
- საოპერაციო რისკს

შპს „სტალი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

დადგინილია რისკის მართვის გარემო, რომლის უმთავრესი მიზანია კომპანია დაიცვას რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მიაღწიოს საკუთარ მიზნებს. კომპანიის ხელმძღვანელი და მართვაში მონაწილე გუნდი ყოველთვიურად აფასებს ლიკვიდურობის დონეების, საკრედიტო პოზიციების, მოთხოვნების პოზიციებისა და გაუფასურების რეზერვის მართებულობას. მთლიანი რისკის მართვის ფარგლებში კომპანია იყენებს სხვადასხვა ინსტრუმენტებს, რომ მართოს წმინდა სავალუტო პოზიციის, საპროცენტო განაკვეთებისა და საკრედიტო რისკები.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის მიერ გამოყენებული მთავარი ფინანსური ინსტრუმენტები - ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

ლარში	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	501,904	802,804
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	1,228,831	1,485,812
სულ ფინანსური აქტივები	1,730,735	2,288,616

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით

ლარში	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სესხები	3,679,599	4,955,074
საიჯარო ვალდებულებები	6,183,067	6,666,614
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	981,835	1,528,792
სულ ფინანსური ვალდებულებები	10,844,501	13,150,180

რისკის მართვის გარემოს საშუალებით კომპანია ახორციელებს შემდეგი სახის რისკების მართვას:

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე კომპანიის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. 2022 წლისა და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს საკრედიტო რისკის მქონე სხვა მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივები, გარდა შემდეგისა:

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	501,904	802,804
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	1,228,831	1,485,812
სულ ფინანსური აქტივები	1,730,735	2,288,616

კომპანია საკრედიტო რისკს მართავს გარკვეული პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ითვალისწინებს დებიტორული დავალიანების დაფარვის კონტროლს (განიხილავს მომხმარებელი იურიდიული პირია თუ ფიზიკური და ვადაგადაცემულ ბალანსებს აკონტროლებს. აღსანიშნავია, რომ სავაჭრო მოთხოვნები ფიზიკური პირების მიმართ ფაქტობრივად არ არსებობს) და პრობლემური ფინანსური აქტივების მართვას.

დებიტორების რაოდენობიდან გამომდინარე, 2022 და 2021 წლის საანგარიშგებო წლისთვის დებიტორული დავალიანების ხანდაზმულობის ანალიზი მოხდა ინდივიდუალურად, შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ინდივიდუალურად შეაფასა დებიტორების გაუფასურების ნიშნები, რის შედეგადაც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 15,925 ლარით.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში, ბ) საპროცენტო აქტივებისა და ვალდებულებების მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიკური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას, როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია, ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

კომპანიის საბაზრო რისკი უმნიშვნელოა, რადგანაც მას არ აქვს ისეთი მნიშვნელოვანი აქტივები ან ვალდებულებები, რომლებზეც სამომავლო ფულადი ნაკადების ოდენობა იმერყევებს საბაზრო ფასებში ცვლილებების გამო. კომპანია არ ფლობს მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსურ ინსტრუმენტებს. უცხოური ვალუტის კონცენტრაციის გარდა, კომპანიის წინაშე არ არსებობს რაიმე სახის მნიშვნელოვანი საბაზრო რისკის კონცენტრაცია.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი, რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანიას აქვს გარკვეული ტრანზაქციები უცხოურ ვალუტაში.

კომპანია დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს ახორციელებს უცხოურ ვალუტაში. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანია ოპერაციების ძირითად ნაწილს ახორციელებს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის რისკი ძირითადად უკავშირდება საზღვარგარეთ შესყიდვებს, რომლებიც ძირითადად ევროსა დაა დოლარშია ნომინირებული. ამასთან, კომპანიას აქვს როგორც საბანკო ანგარიშები, ასევე იჯარისა და სასესხო ვალდებულებები ევროსა და დოლარში.

კომპანიის მენეჯმენტი ყოველთვიურ ანალიზს აკეთებს სავალუტო რისკის და ცდილობს ამ რისკების შემცირებას უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების კომპანიის დონეზე მართვით.

საპროცენტო რისკი

კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულგანაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის

მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით და რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდურობას. ეს მოიცავს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და ლიკვიდურობის საჭიროების მუდმივ მონიტორინგს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიური ბიუჯეტის გადახედვით და სამომავლო პროგნოზირებით.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანიის ლიკვიდურობის არსებული დონე საკმარისია ყველა მისი მიმდინარე ვალდებულების შესასრულებლად და დავალიანების დროულად დასაფარად. კომპანიის მიმდინარე და გრძელვადიანი ვალდებულებების განაწილებას იხილავთ მე-10 და მე-11 შენიშვნებში, სავაჭრო და სხვა ვალდებულებები კი ყველა 1 წლამდე დასაფარ თანხებს წარმოადგენს.

კაპიტალის რისკის მართვა

კაპიტალის მართვას აწარმოებს კომპანიის მფლობელი იმის და მიხედვით, თუ როგორი მოთხოვნები კაპიტალის ოპტიმალურ სტრუქტურასთან დაკავშირებით. კომპანია მართავს თავის კაპიტალის სტრუქტურას და მასში შეაქვს კორექტირებები ეკონომიკურ პირობებში ცვლილებების გათვალისწინებით. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს დამფუძნებლებისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი დამფუძნებელს.

კომპანია საკუთარ კაპიტალს მართავს იმისათვის, რომ შეძლოს ჩვეულ რეჟიმში ფუნქციონირების გაგრძელება, რათა მოზიდული სახსრებისა (ასეთების არსებობის შემთხვევაში) და კაპიტალის ნაშთების ოპტიმიზაციის საშუალებით მოახდინოს დამფუძნებლების უკუგების მაქსიმიზაცია. ხელმძღვანელს (რომელიც ასევე დამფუძნებელია) განზრახული აქვს, მომავალშიც განავითაროს ბიზნესი.

	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
მთლიანი კაპიტალი	219,629	(241,648)
გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	(1,228,831)	(1,485,812)
კაპიტალი	(1,009,202)	(1,727,460)
მთლიანი კაპიტალი	219,629	(241,648)
სესხები	3,679,599	4,955,074
სრული ფინანსირება	3,899,228	4,713,426
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	(0,26)	(0,37)

20. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს (IAS) 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით, მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. დაკავშირებული მხარეების ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება, რომელიც ქვემოთაა განხილული,

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

განხორციელდა გაშლილი ხელის პრინციპით. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების მოცულობა, წლის ბოლოსთვის დაუფარავი ნაშთები და შესაბამისი ხარჯი და შემოსავალი წლის განმავლობაში ასეთი იყო:

მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
შპს ამფორა	244,128	284,128
სულ მოთხოვნები დაკავშირებულ მხარესთან	244,128	284,128

შპს „სტაილი“ ფლობს შპს „ამფორას“ წილს. შპს „ამფორა“ წარმოადგენს სუნამოების მაღაზიას, იგი ყიდულობდა კომპანიის პროდუქციას შემდგომი რეალიზაციისათვის. დღეისათვის შპს „ამფორა“-ს, შეჩერებული აქვს ოპერაციები და შპს სტაილმა შექმნა რეზერვი მოთხოვნებთან დაკავშირებით.

სასესხო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	31-დეკ-2022	31-დეკ-2021
კომპანიის დამფუძნებლები	382,540	177,492
სულ ვალდებულებები დაკავშირებულ მხარეებთან	382,540	177,492

საიჯარო ხარჯები დაკავშირებულ მხარესთან	2022 წელი	2021 წელი
დამფუძნებლისგან ნაქირავები ფართის იჯარა	214,320	207,840
სულ საიჯარო ხარჯები დაკავშირებულ მხარესთან	214,320	207,840

დაკავშირებულ მხარეზე გაცემული ხელფასები	2022 წელი	2021 წელი
დამფუძნებლებზე გაცემული ხელფასები	261,213	175,870
სულ დაკავშირებულ მხარეზე გაცემული ხელფასები	261,213	175,870

კომპანიის დამფუძნებელი ასევე არის კომპანიის დირექტორიც, ამიტომ მასზე გადახდილი ხელფასი განიხილება როგორც ოპერაცია დაკავშირებულ მხარესთან.

21. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს ფინანსური ანგარიშგების მომზადებას იმის დაშვებით, რომ სამეურნეო სუბიექტი არის ფუნქციონირებადი საწარმო და ჩვეულებრივ გააგრძელებს საქმიანობას უახლოეს საპროგნოზო მომავალში.

კომპანიის მოკლევადიანი აქტივები აჭარბებს მიმდინარე ვალდებულებებს, რაც ერთ-ერთი ინდიკატორია იმისა, რომ კომპანია არ დგას ლიკვიდურობის რისკის წინაშე, მოახდენს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში უახლოეს საპროგნოზო მომავალში. ამასთან, კომპანიამ დადებითი ფინანსური შედეგი აჩვენა წინა წელთან შედარებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია აკმაყოფილებს განგრძობითი საწარმოს პრინციპის მოთხოვნებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის მანძილზე.

22. წინა პერიოდის ხარვეზის შესწორება

2022 წლის რეპორტზე მუშაობისას ხელმძღვანელობამ აღმოაჩინა, რომ 2021 წლის ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი, ასევე, იჯარისა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები არასწორად იყო გადანაწილებული შესაბამის კატეგორიებში. მიმდინარე პერიოდში გასწორდა ხარვეზი და ამ კორექტირებას გავლენა არ ჰქონია არც 2021 წლის საოპერაციო შედეგზე და არც 2022 წლის მონაცემებზე.

შპს „სტაილი“

ფინანსური უწყისები და შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებებზე 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	წარდგენილი	კორექტირება	შესწორებული
	2021 წელი		2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	12,515,280		12,515,280
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(7,150,514)	50,905	(7,099,609)
საერთო მოგება	5,364,766		5,415,671
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(4,490,883)	794,220	(3,696,663)
მიწოდების ხარჯები	(639,748)	(845,125)	(1,484,873)
საოპერაციო მოგება	234,135		234,135

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გაშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.

შპს სტაილი

მმართველობის ანგარიშგება

2022 წელი

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი აერთიანებს კომპანიასთან დაკავშირებულ ისეთ მონაცემებს, როგორებიცაა:

- კომპანიის შესახებ, საქმიანობის მიმოხილვა
- კომპანიის სპეციფიკა და სტანდარტები
- კომპანიის მართვის სტრუქტურა
- კონკურენტული უპირატესობა:
- ფინანსური მაჩვენებლები
- სამომავლო გეგმები
- ძირითადი რისკები და მათი მართვა

კომპანიის შესახებ, საქმიანობის მიმოხილვა

კომპანია სტაილი დაფუძნდა 1995 წელს თბილისში და წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს, რომელიც შექმნილია ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია “საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტო”-ს მიერ.

შპს სტაილის დამფუძნებლები არიან ბ-ნი გიორგი კეკელიძე და ბ-ნი თეიმურაზ ინაშვილი. კომპანიის დირექტორი - ბ-ნი გიორგი კეკელიძე.

კომპანია სტაილის ძირითადი საქმიანობაა პარფიუმერიის, კოსმეტიკის და მოვლის საშუალებების იმპორტი დასაბითუმო/საცალო ვაჭრობა. კომპანია სტაილის მფლობელობაშია საეჭრო ქსელი „ვულე-ვუ“, რომელიც ახორციელებს ლუქს, სემი სელექტივების და მას მარკეტული პარფიუმერული და კოსმერიკური საშუალებების საცალო გაყიდვას საქართველოს მასშტაბით.

მაღაზიათა ქსელი „ვულე-ვუ“ მოიცავს 10 მაღაზიას და ასევე ონლაინ გაყიდვებს:

თბილისი:

- მარჯანიშვილის 19
- რუსთაველის 46
- ჭავჭავაძის 42
- პეკინის 27
- პეკინის 17
- ვაჟა-ფშაველას 35
- ს/ც სითი მოლი, ქავთარაძის 1
- ს/ც გლდანის მოლი

ბათუმი: გრობოედოვის 8

ქუთაისი: ს/ც ქარვასლა, ა. წერეთლის 4-4ა

ონლაინ მაღაზიას [www. voulez-vous.ge](http://www.voulez-vous.ge)

მაღაზიათა ქსელი "ვულე-ვუ" წარმოადგენს შემდეგ პარფიუმერულ ბრენდებს:

Dior, Chanel, Guerlain, Givenchy, Kenzo, Montale, Mancera, Lancome, Armani, Ysl, Martin Margiela, Azzaro, Biotherm, Valentino, Mugler, Prada, Atelier Cologne, Viktor&Rolf, Paris Bleu, Cacharel, Hugo Boss, Gucci, Burberry, Calvin Klein, Chloe, Lacoste, Marc Jacobs, Balenciaga, Lancaster, Stella McCartney, Versace, Dsquared2, Moschino, Atkinsons, S.Oliver, Betty Barclay, Baldessarini, Tabac, Karl Lagerfeld, Jimmy Choo, Lanvin, Boucheron, Van Cleef, Rochas, Repetto, Kate Spade, Rimmel, David Beckham, Beyonce, Max Factor, Collistar, Baylis&Harding, Trussardi, Blumarine, Armand Basi, Laura Biagiotti, Angel Schlesser, Amouage, Air-Val.

2022 წელს კომპანია სტაილში დასაქმებული იყო 148 ადამიანი

კომპანიის სპეციფიკა და სტანდარტები

კომპანია სტაილი 1995 წლიდან არის სტაბილური პარტნიორი ქართული და უცხოური კომპანიებისთვის. ვინაიდან მაღაზიათა ქსელი „ვულე-ვუ“ წარმოადგენს მსოფლიო და ევროპულ ბრენდებს, კომპანიას აქვს დანერგილი მაღალი ევროპული სტანდარტები.

ვულე-ვუს მაღაზიები მოწყობილია და აღჭურვილია საუკეთესო ხარისხის მასალებით და დახვეწილი დიზაინით. მომხმარებლებს მაღაზიებში ხვდებათ დატრენინგებული პროფესიონალები და თბილი, სასიამოვნო გარემო.

ამ სტანდარტებს უზრუნველყოფს მონიტორინგის გარკვეული ჯგუფები:


- ყოველ მაღაზიას ყავს მაღაზიაზე პასუხისმგებელი მენეჯერი, რომელიც აკონტროლებს მაღაზიის ყველა პროცესს და პასუხისმგებელია მათ შორის სალარო ოპერაციებზე;
- ჯგუფი, რომელიც ახორციელებს კონსულტანტების ჩაცმულობის, ქცევის და მომხმარებლებთან ურთიერთობის კონტროლს;
- ჯგუფი რომელიც გარკვეული ბრენდების მიხედვით ახორციელებენ პროდუქციის თაროებზე წარმოდგენის, ვადების, შენახვის პირობების კონტროლს;
- ჯგუფი, რომელიც ახორციელებს მაღაზიების ინტერიერის და ექსტერიერის მონიტორინგს;
- ტრენინგ-მენეჯერი - ახორციელებს კონსულტანტების გადამზადებას, სიახლეებიც გაცნობას;

ადმინისტრაცია თავის მხრივ მუდმივად ჩართულია მაღაზიების გამართულად მუშაობის პროცესში;

ყოველ 2 თვეში ერთხელ სხვადასხვა ბრენდების წარმომადგენლები ჩამოდიან საქართველოში და ატარებენ სხვადასხვა ტრენინგებს, სადაც ხდება როგორც სიახლეების გაცნობა, ასევე გაყიდვების თანამედროვე ტექნიკების შესწავლა;

კომპანიის მართვის სტრუქტურა

კომპანიას აქვს ეფექტური სტრუქტურა, სადაც ყველა რგოლს აქვს მკაფიოდ განსაზღვრული უფლება-მოვალეობები. საწარმოს სტრუქტურის თავში დგას დირექტორი, მას ემორჩილება მოადგილე, რომელიც კომპანიის ყველა დეტალში ბოლომდეა გარკვეული.



კონკურენტული უპირატესობა:

კომპანია სტაილის კონკურენტული უპირატესობაა პირველ რიგში მისი სტატუსი, როგორც გამოცდილი და სანდო პარტნიორის. კომპანიას აქვს მსიოფლიო ბრენდებთან 25+ წლიანი პარტნიორული და მეგობრული ურთიერთობები.

როგორც საცალო ქსელის, ვულე-ვუს უპირატესობაა მისი დიდი ასორტიმენტი, რომელიც გათვლილია ყველანაირ მყიველუნარიან სეგმენტზე. მაღაზიებში ყოველთვის წარმოდგენილია ბოლო პერიოდის სიახლეები.

ვულე-ვუს მაღაზიათა ქსელმა პირველმა შემოიტანა და დანერგა ქართულ ბაზარზე არაერთი ეფექტური მარკეტინგული კამპანია და მოქნილი, მიმზიდველი შეთავაზებები. მაღაზიის თანამშრომლები ცდილობენ ყოველი მომხმარებელი გაუშვან დასაჩუქრებული და მაქსიმალურად კმაყოფილი.

ფინანსური მაჩვენებლები

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის მოკლე ფინანსური ინფორმაცია, რაც გვიჩვენებს 2022 და 2021 წლების შედეგებს:

	2022	2021
მიმდინარე აქტივები	5,237,935	6,344,672
გრძელვადიანი აქტივები	6,620,315	7,332,544
მიმდინარე ვალდებულებები	3,686,998	4,949,161
გრძელვადიანი ვალდებულებები	7,951,623	8,969,703
კაპიტალი	219,629	(241,648)

	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	13,527,455	12,515,280
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(7,355,301)	(7,099,609)
საოპერაციო ხარჯები	(6,337,991)	(5,181,536)
საოპერაციო მოგება	(165,837)	234,135
მოგება(ზარალი)	461,277	(596,975)

კოეფიციენტები	2022	2021
საოპერაციო მოგების მარჟა	-1%	2%
წმინდა მოგების(ზარალის) მარჟა	3%	-5%
მიმდინარე ლიკვიდობის კოეფიციენტი	1.42	1.28
სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი	0.32	0.33
უკუგება აქტივებზე	4%	-4%

სამომავლო გეგმები

კომპანიას აქვს დასახული მიზნები როგორც საბითუმო, ასევე საცალო მიმართულებით.

- საბითუმო გაყიდვებში იგეგმება მნიშვნელოვანი ზრდა ახალი პარტნიორების დამ მიმართულებების დამატებით;
- საცალო სექტორში, მუდმივად მიმდინარეობს არსებული მაღაზიების რესტრუქტურირაცია და ოპტიმიზაცია, შესაძლოა გარკვეული ობიექტების ლოკაციის ცვლილება, რაც დამოკიდებულია მიმდებარე ტერიტორიების განვითარებაზე, სავტომობილო და საფეხმავლო გზების განვითარებასა და ცვლილებებზე.
- დაგეგმილია ახალი ლოკაციის დამატება ბათუმში, ვინაიდან ბათუმი წარმოადგენს მუდმივად მზარდ ქალაქს დიდი პოტენციალით.
- მიმდინარეობს არსებული ონლაინ მაღაზიის განახლება. ახალი მაღაზიის შექმნისას გათვალისწინებული იქნა მსოფლიო ბრენდების რეკომენდაციები. 2022 წლიდან მოყოლებული voulez-vous.ge მთლიანად შეიცვლება და შესთავაზებს მომხმარებლებს მსოფლიო სტანდარტების შესაბამის მოქნილ და დახვერილ ონლაინ მაღაზიას.

- 2022-2023 წლების მიზნებში კომპანიას დაგეგმილი აქვს ვალდებულებების დიდი წილის შემცირება, ერთის მხრივ გაყიდვების მიმართულებების გაზრდის ხარჯზე, მეორე მხრივ მიმდინარე მაღაზიების ოპტიმიზაციით და შესაბამისად მარაგების მართვის გაუმჯობესებით.

ძირითადი რისკები და მათი მართვა

დღეისთვის კომპანია სტაილის ყველაზე დიდი რისკი დაკავშირებულია საცალო გაყიდვებთან, სადაც ეკონომიკური და პოლიტიკური რყევებს, გასულ წლებში დაემატა მსოფლიო პანდემია, რის გამოც მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა COVID 19 გავრცელების შესაჩერებლად მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საცალო ბიზნესს.

ეს პროცესები მნიშვნელოვნად მოქმედებს ვალუტის კურსზე და იწვევს ძალიან მკვეთრ დეველვაციას, რაც რისკის ქვეშ აყენებს კომპანიას, რომელიც დამოკიდებულია 100%-ით იმპორტზე უცხოურ ვალუტაში.

გარდა ვალუტის კურსის ცვლილებისა, ეს პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებლების მყიდველუნარიანობაზე. იმ ლოკაციებზე, რომლებიც განთავსებულია ტურისტულ ადგილებში მცირდება უცხოელი მყიდველების წილი.

კომპანიას მუდმივად უწევს დასახული მიზნების და სტრატეგიების ცვლილება, რომ დროულად გაუმკლავდეს გამოწვევებს.

გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური რყევებისა, მოცემულ სფეროში არის საკმაოდ დიდი კონკურენცია. კომპანია სტაილი თავისი ლოიალური მომხმარებლებისთვის რჩება სანდო პარტნიორად, სადაც მათ აქვთ გარანტია, მიიღონ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია და მომსახურება.

კომპანია რჩება თავისი მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობების ერთგული და ასევე, მუდმივად ახორციელებს ახალი ბრენდების შეთავაზებას მომხმარებლებისთვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სტაბილურობას და ამცირებს ბიზნეს რისკებს.

მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

ხელმოწერი პირი:

დირექტორი:

5 ოქტომბერი 2023 წ.

თბილისი, საქართველო

- 2022-2023 წლების მიზნებში კომპანიას დაგეგმილი აქვს ვალდებულებების დიდი წილის შემცირება, ერთის მხრივ გაყიდვების მიმართულებების გაზრდის ხარჯზე, მეორე მხრივ მიმდინარე მაღაზიების ოპტიმიზაციით და შესაბამისად მარაგების მართვის გაუმჯობესებით.

ძირითადი რისკები და მათი მართვა

დღეისთვის კომპანია სტაილის ყველაზე დიდი რისკი დაკავშირებულია საცალო გაყიდვებთან, სადაც ეკონომიკური და პოლიტიკური რყევებს, გასულ წლებში დაემატა მსოფლიო პანდემია, რის გამოც მთავრობის მიერ გატარებულმა ღონისძიებებმა COVID 19 გავრცელების შესაჩერებლად მნიშვნელოვანი დარტყმა მიაყენა საცალო ბიზნესს.

ეს პროცესები მნიშვნელოვნად მოქმედებს ვალუტის კურსზე და იწვევს ძალიან მკვეთრ დევალვაციას, რაც რისკის ქვეშ აყენებს კომპანიას, რომელიც დამოკიდებულია 100%-ით იმპორტზე უცხოურ ვალუტაში.

გარდა ვალუტის კურსის ცვლილებისა, ეს პროცესები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მომხმარებლების მყიდველუნარიანობაზე. იმ ლოკაციებზე, რომლებიც განთავსებულია ტურისტულ ადგილებში მცირდება უცხოელი მყიდველების წილი.

კომპანიას მუდმივად უწევს დასახული მიზნების და სტრატეგიების ცვლილება, რომ დროულად გაუმკლავდეს გამოწვევებს.

გარდა ეკონომიკური და პოლიტიკური რყევებისა, მოცემულ სფეროში არის საკმაოდ დიდი კონკურენცია. კომპანია სტაილი თავისი ლოიალური მომხმარებლებისთვის რჩება სანდო პარტნიორად, სადაც მათ აქვთ გარანტია, მიიღონ უმაღლესი ხარისხის პროდუქცია და მომსახურება.

კომპანია რჩება თავისი მრავალწლიანი პარტნიორული ურთიერთობების ერთგული და ასევე, მუდმივად ახორციელებს ახალი ბრენდების შეთავაზებას მომხმარებლებისთვის, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სტაბილურობას და ამცირებს ბიზნეს რისკებს.

მმართველობის ანგარიშგების მომზადებაზე პასუხისმგებელი პირი

მმართველობითი ანგარიშგების წარდგენაზე პასუხისმგებელია კომპანიის მართვაზე უფლებამოსილი პირი - დირექტორი.

ხელმოწერი პირი:

დირექტორი:

5 ოქტომბერი 2023 წ.
თბილისი, საქართველო